

ქართული ენის გურული დიალექტის დამუშავება სასრული პოზიციის  
გარდამქმნელის სახით

ანა გელაშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა  
და ხელოვნების ფაკულტეტზე გამოყენებითი ენათმეცნიერების მაგისტრის აკადემიური  
ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

გამოყენებითი ენათმეცნიერება

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ირინა ლობჯანიძე, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2018

## განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ანა გელაშვილი

21.06.2018

## აბსტრაქტი

ქართული ენისა და მისი დიალექტების კომპიუტერული მოდელი მნიშვნელოვანი დამხმარე რესურსი იქნება ამა თუ იმ დიალექტის ან თავად ქართული ენის კვლევით დაინტერესებული პირებისთვის.

ნაშრომი ქართული ენის გურულ დიალექტში დაფიქსირებულ არსებით სახელთა მორფოლოგიური ანალიზის კომპიუტერული მოდელის შექმნას ემსახურება.

კვლევის პრაქტიკულ ნაწილში წარმოდგენილია, თუ როგორ მოხდა გურული დიალექტისთვის დამახასიათებელი არსებითი სახელების დამუშავება და საცდელად განხილულია დიალექტური კორპუსიდან ამოღებული, გურულ დიალექტზე ჩაწერილი 30 ტექსტში არსებული არსებითი სახელები, რომელთა რაოდენობა 1243 ერთეულს შეადგენს.

გურულ დიალექტზე ჩაწერილი ტექსტები გატარდა სალიტერატურო ქართული ენის მორფოლოგიურ ანალიზატორში და კვლევისთვის შეირჩა ის არსებითი სახელები, რომელთა ანალიზიც ანალიზატორმა ვერ გააკეთა, რადგანაც მათში მომხდარია სხვადასხვა ფონოლოგიური ცვლილება ან საერთოდ შეცვლილია საგნის აღმნიშვნელი ლექსიკური ერთეული.

კვლევის პროცესში შეიქმნა სხვადასხვა ფუძის მქონე არსებით სახელთა ძირებისა და ფუძისეული აფიქსების ლექსიკონები, რომელთა საფუძველზე შესაძლებელი გახდა გურული დიალექტისათვის დამახასიათებელი ფორმების გენერირება და ანალიზი. გრამატიკულად არასწორი ფორმების თავიდან ასაცილებლად შეიქმნა შეზღუდვების წესები.

ნაშრომში წარმოდგენილ კვლევაში საკვლევი საკითხის თვისობრივი და რაოდენობრივი გზებით დამუშავება მოხდა.

კვლევის შედეგად შემუშავდა გურული დიალექტისათვის დამახასიათებელი არსებითი სახელების მორფოლოგიური ანალიზატორი.

წარმოდგენილი ნაშრომი მნიშვნელოვანი ნაბიჯია გურული დიალექტის მომავალი, უფრო ღრმა, კვლევისა და კომპიუტერული დამუშავებისთვის.

**საკვანძო სიტყვები:** გურული დიალექტი, მორფოლოგიური ანალიზატორი, სასრული პოზიციის გარდამქმნელი, კომპიუტერული მოდელი, ქართული დიალექტური კორპუსი.

## Abstract

The computer model of Georgian language and its dialects is an important support resource for the people who are interested in researching a dialect or a Georgian language itself.

The thesis is aimed to compile a morphological analyzer for the nouns presented in Guria Dialect of the Georgian Language.

The practical part of the study presents the processing of nouns received from the texts available online. The study of nouns is based on 30 texts recorded in Guria and available in the Dialectic Corpus, the number of nouns already processed is equal to 1243 units.

The texts were processed by the morphological analyzer of literary Georgian language and we paid special attention to nouns which could not be analysed, because of different phonological processes occurred in these words or the meaning of a particular subject was expressed by other lexical units.

Within the research we have compiled separate dictionaries for the stems and for the appropriate affixes, which made possible to generate and analyze the forms from Guria dialect. Rules of restrictions have been created to avoid grammatically wrong forms.

We have used different methods of analysis including qualitative and quantitative ones.

As a result of the research, the morphological analyzer of the nouns characteristic for the Guria dialect was developed.

The presented work is an important step for further profound research and computer processing of the Guria Dialect.

**Keywords:** Guria Dialect, Morphological Analyzer, Finite state transducers, Computer Model, Georgian Dialectic Corpus.